

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

## ბრძანება №841

ქ. ბათუმი, 01 დეკემბერი 2014 წ

**„იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“  
ქვეპროგრამით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლ(ებ)ის  
მშენებლობის ადგილის გამოყოფისა და მშენებლობასთან  
დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დამტკიცების შესახებ”  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის  
10 ნოემბრის №170 განკარგულების შესრულების  
უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი  
ღონისძიებების შესახებ**

„საქართველოს კონსტიტუციის“, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და „2014 წლის მუნიციპალური პროგრამის - კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №274 განკარგულებით დამტკიცებული „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“ ქვეპროგრამის შესახებ და „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლ(ებ)ის მშენებლობის ადგილის გამოყოფისა და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ნოემბრის №170 განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ „მიწისა და უძრავი ქონების პროფესიონალთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ნოემბრის №170 განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზები, თანახმად დანართი 1, 2 და 3-სა.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ნოემბრის №170 განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის დაანგარიშება განხორციელდეს ა(ა)იპ „მიწისა და უძრავი ქონების პროფესიონალთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზების მიხედვით, ხოლო საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებსა და ა(ა)იპ „მიწისა და უძრავი ქონების პროფესიონალთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვით ნახაზებს შორის არსებული წინააღმდეგობისას უპირატესობა მიენიჭოს მეტი ფართის მქონე მონაცემს.

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ნოემბრის №170 განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“ ქვეპროგრამის

ფარგლებში დაგეგმილი სახლ(ებ)ის მშენებლობის ადგილზე მდებარე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეების/დამკავებლების სახელობითი სია, მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ფართების და საკომპენსაციო თანხის ოდენობა თანახმად დანართი 4-სა.

4. რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქონების მესაკუთრეებთან/დამკავებლებთან შეხვედრებზე და მოლაპარაკებების წარმოებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით უფლებამოსილება მიენიჭოთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსს ნუკრი დეკანაძეს, ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსს ეგარსლან ლომაძეს და ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს რამაზ მამულაძეს.

5. რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქონების მესაკუთრეებისათვის/დამკავებლებისათვის თანხის გადარიცხვა განხორციელდეს მოლაპარაკებების დასრულებისა და უკლებლივ ყველა რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქონების მესაკუთრეების/დამკავებლების წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

6. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსს ეგარსლან ლომაძეს მიენიჭოს უფლებამოსილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სახელით ხელი მოაწეროს ქონების მესაკუთრეებთან გასაფორმებელ კომპენსაციის შესახებ შეთანხმებებს.

7. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოთ დანართი 4-ით გათვალისწინებულ პირებს.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ზურაბ ბერიძეს.

9. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**გიორგი ერმაკოვი**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი**